<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) 84-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 და 5^2 ნაწილები:

„5^1. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობა, - გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

5^2. ამ მუხლის 5^1 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი განმეორებით, - გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2023 წლის პირველი ივნისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი *სალომე ზურაბიშვილი*

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი;

„სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის თანმდევი კანონპროექტი „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ ადგენს ახალ მოთხოვნებს სამრეწველო ემისიების სფეროში. შესაბამისად, საჭიროა აღნიშნული მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად, მათი შეუსრულებლობისთვის შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენა.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა;

საქართველოს კანონმდებლობით, იურიდიული პასუხისმგებლობა შესაძლებელია დადგინდეს მხოლოდ კანონით, შესაბამისად, „სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით განსაზღვრული რეგულაციების/მოთხოვნების დარღვევისთვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს საკანონმდებლო აქტში (საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი) ცვლილების შეტანის გზით.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად განისაზღვრება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუიხსმგებლობა „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობისთვის.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 84-ე მუხლს, რომელიც ადგენს პასუხისმგებლობას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების უფლებამოსილი თანამშრომლების მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის, ემატება 5^1-5^2 ნაწილები, რომლებითაც დგინდება პასუხისმგებლობა „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული მიწერილობის (რომელიც ეხება რეგულირების ობიექტისთვის შესაბამისი ქმედების დროებით შეზღუდვას) შეუსრულებლობისთვის.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ძალაში შესვლა გათვალისწინებულია 2023 წლის პირველ ივნისს. აღნიშნული თარიღი შერჩეულია საკანონმდებლო პაკეტის ძალაში შესვლის თარიღის მიხედვით.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გარკვეულ გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან კანონპროექტით ხდება ახალი სამართალდარღვევების დადგენა - „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობა, რისთვისაც, პასუხისმგებლობის სახით, გათვალისწინებულია ჯარიმა 10 000 ლარი (განმაორების შემთხვევაში - 20 000 ლარი). შესაბამისად, ამ სამართალდარღვევების გამოვლენის და დამრღვევის დაჯარიმების შემთხვევაში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები გაიზრდება ჯარიმის სახით გადახდილი თანხებით. ამ სახით მიღებული სავარაუდო შემოსავლების ოდენობა დამოკიდებულია სამართალდარღვევების რაოდენობაზე და სასამართლოს გადაწყვეტილებებზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს, აგრეთვე, სახელმწიფოს ან/და მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღებ პირდაპირ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება, ფინანსური თვალსაზრისით, გავლენას მოახდენს იმ პირებზე, რომლებიც ჩაიდენენ ამ კანონით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებს, მათ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სახით, დარღვევების შესაბამისად, დაეკისრებათ სახდელი (ჯარიმა) - 10 000 ლარი (განმეორების შემთხვევაში - 20 000 ლარი)

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

კანონპროექტით არ ხდება ახალი გადასახადის ან მოსაკრებლის შემოღება. ამასთან, კანონპროექტით გათვალისწინებული ახალი სამართალდარღვევების ჩადენისთვის პასუხისმგებლობის სახედ დგინდება ჯარიმა, რომლის ოდენობაც განისაზღვრა კოდექსით მსგავსი სამართალდარღვევებისთვის გათვალისწინებული ჯარიმების მიხედვით.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე, რადგან იგი არ ეხება ბავშვთა უფლებებს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს. კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სამუშო ჯგუფი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების), სამუშო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.